# სამშობლო

წ. I 1915 წ.

ხუთშაბათი 30 აპრილი

**ფასი**: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით 7 კაპ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 69 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 69

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ღრმათ დამწუხრებულნი ქალიშვილები: **მარია მიხეილ ოგანეზოვის ასული ქალანთაროვისა შვილებით: თამარა და ვარვარა, დარია (დარიკო) მიხეილ ოგანეზოვის ასული და კეკელა სტეფანე შერმაზანოვის ასული ნაზარიანცისა შვილებით** ვაუწყებთ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 28 აპრილს, დილის 6 საათზე გარდაიცვალა

**ოსანა სტეფანე-შერმაზანოვის ასული ოგანეზოვისა.**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე. დაკრძალვა მოხდება საფირჩხიის სასაფლაოზე, 2 მაისს დღით შაბათს, წირვისა და პანაშვიდის შემდეგ სომეხთა წმინდა გიორგის ეკლესიაში. ეკლესიაში გავასვენებთ დილის 10 საათზე.

ლევაშოვის ქუჩა, სახლი იაკობიშვილისა. 1—1—191

---

ქუთაისის ქართული გიმნაზიის ბუღალტერი **ალექსანდრე დიმიტრის ძე ლორთქიფანიძე შვილებითურთ, ვლადიმერ და აკაკი ქრისტეფორეს ძენი ნაცვლიშვილები, სპირიდონ და ალათი დალაქიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებას პირველი ძვირფასი მეუღლისას, მეორენი დაუვიწყარი დისას და მესამენი საყვარელი რძლისას

**ანა (ანეტა) ქრისტეფორეს ასულის ლორთქიფანიძისას,**

უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა, ნაცნობთ და პატივისმცემელთ მობრძანდენ მიცვალებულის გამოსვენებაზე მაისის პირველს, დღით პარასკევს, ნაშუადღევს 4 საათზე, მესხეთის ქუჩაზე, მოედანთან, იაკორ კეპულაძის სახლში. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. ცალკე წერილები არ იქნება. 189—2—2

---

**იყიდება** ქ. ქუთაისში, **საშუალო ფირმის მაღაზია** აზოვ ს ბანკის განყოფილების ქვედა სართულში ელიგულაშვილის მამულში მეორე №. მაღაზია შესაფერათ გაწყობილია ფართლით: შალეული, აბრეშუმეული, ბამბეულითა და შეკერული პალტოებით. მყიდველს შეუძლია შეშუდი გაადიდოს და აწარმოოს მაღაზია. მსურველს შეუძლია მარტო ფართლეულიც **იყიდოს და წაიღოს**, მხოლოდ ერთად. ფართალი შეძენილია ომის დაწყებამდი და დღევანდელს ფასზე 30% ნაკლებ დაჯდება. 5—3—186.

---

დაიბეჭდა და იყიდება **ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

**ფასი ყდით 2 აბაზი.**

თვ.

---

## ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქუთაისში

**ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს**, რომ **გაზეთებში** გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის **ხ. ხრისტოდულიდის** გასული წლების მსგავსად წელსაც **მიუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ** თესლის **მყიდველნი მეაბრეშუმენი** არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: **დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია **„შტემპელი“**, აწერია **„ს/ს. გოკიელოვის შ—ბი“**, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკეზე, რომელშიაც კაკალია აზის **„შტემპელი“** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისის“** და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის“**, აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი**, რომლის **სამთელეს** აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ **კოლოფს** ირგვლივ **შემოყოლებული** სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

**თესლის გაყიდვა გრძელდება.**

---

ქალაქის ბაღი.

დღეს, 30 აპრილს, შესდგება

## საჯარო სეირნობა

**ქართველ მსახიობთა ამხანაგობისა.**

მოწყობილი იქნება მრავალი გასართობები და უფასო სანახაობა. დაუკრავს მუსიკა და ზურნა. შესვლის ფასი 30 კაპ. ბავშვებისათვის და მოწაფეთათვის 15 კაპ. ბაღში შემსვლელს ნობათათ ეძლევა წარმოდგენის ბილეთი, რომელიც შესდგება 3 მაისს.

სეირნობის დიასახლისი ქ-ნი ბ. ზ. მაჭავარიანისა.

---

ქუთაისის თეატრი.

ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ, შაბათს, 2 მაისს,

წარმოდგენილი იქნება ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით, პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალური პიესა შოთა დადიანისა

## —განწირულნი—

4 მოქ.

მონაწილეობას მიიღებს არადელი-იმხნელი და ამხანაგობის მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.** **ფასები ჩვეულებრივია.**

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

---

**კაბინეთი** მასსაჟის და სამკურნალო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა **მ. ტ. ბალანჩივაძისა** ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი **ორთქლის ვანა**, რომელიც სჭობს სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე ვარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. **აგრეთვე ყუცრი ყვავილს.** ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდი. რჩევა და დარიგება 10 შ. მორჩენის ფასი ადგილზე გაიგება. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

---

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

**კბილის ექიმები**

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**

დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

**ექიმი** **გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

## გამოცდილ სტუდენტთა ამხანაგობა

ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლთა ყველა კლასისათვის. და ყველა საგანში. ინჟინრის ქუჩის გადასახვევი, სახლი ანდრეევისა, ქალთა უფასო სასწავლებლის ახლოს. თ. ჟ.

---

**ექიმი** **ე. ტ. მულინი** გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

---

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

**დ. ყვირილაში.**

**სტუდენტი ვარლამ ფერაძე**

(9 წ. პრაქტიკით) პირველ მაისიდან **ვამზადებ** მოწაფეებს, ქალებს და ვაჟებს, ყველა საგნებში დაბალ და საშუალო სასწავლებლების კლასებისათვის. აგრეთვე სიმწ. მოწმ. აფთიაქის მოწაფეებს, მასწავლებლებს, 1 კლ. ჩინზე და სხ.

**მისამართი:** ყვირილა, პირველ-დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის ახლოს, დათა ყუბარაძის სახლი. 14—3—187

---

# ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**პეტროგრადი.** 28 აპრილი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ჩვენი შეტევა ოლთისის გზით გრძელდება. ჩვენმა ჯარმა დაიკავა არდოსტ-კოჩიკის რაიონი. ჩვენი ჯარის წვერის წინაალმდეგ მოქმედი ოსმალთა ბატალიონი ჩვენმა ჯარმა დაამარცხა. ტყვეთ წამოვიყვანეთ ცხრა აფიცერი და ერთი როტა ასკერებისა. ალაშკერტის გზით ოსმალონი გავდევნეთ კლილიადუკის უღელტეხილის სამხრეთისაკენ. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი.** 28 აპრილი. მთავარსარდლის შტაბისაგან. 26 აპრილს შავლის რაიონში ჩვენ წინ მივიწევთ. ბავარიის ცხენოსანთა დივიზიამ პრუსიის გვარდიის ქვეითა პოლკის დახმარებით შამოუარა აღმოსავლეთით ჩვენ ჯარს, რომელიც კაიდან-ბეისაგოლას რაიონში იმყოფებოდა. 26 აპრილს, ღამით, სად. მეიშის მახლობლათ ამ დივიზიას ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა შეუტია და რამდენიმე ათეულ ვერსზე გარეკა. ნემანის მარცხენა ნაპირზე და ნარევის ფრონტზე სიწყნარეა; ვისლის მარცხენა ნაპირზე ნიდის შესართავთან ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიში. დასავლეთ გალიციაში ბრძოლა უმეტეს ნაწილათ ველეპოლ-ნოვოტანეცის ფრონტზე სწარმოებდა. მედგარი ბრძოლის შემდეგ მტერმა შესძლო კრასნოს რაიონში მდ. ვისლოვკაზე გადასვლა. წარსულ კვირის ბრძოლებში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ რამდენიმე ათასი გერმანელი და ავსტრიელი. უჟოკის უღელტეხილზე მტერს უშედეგოთ მოქონდა იერიში. ლომნიცის სათავეში მტერმა მჭიდრო რაზმებით იერიში მოიტანა იავორნიკზე. ამავე დღეს მტერმა აიძულა ჩვენი რაზმი სოფ. ზალეშჩიკიდან უკან დაწეულიყო მდ. დნესტრის მარცხენა ნაპირისაკენ, 26 აპრილს, ღამით, ჩვენი მოწინავე რაზმი გადავიდა დნესტრზე და მტერს შეუტია შაბოკრუკ-უსტიე-სტრინის ფრონტზე. ტყვეთ წამოიყვანა 1300 კაცი, ერთი ზარბაზანი და რამდენიმე ტყვიისმტყორცნელი.

**გრიმსბი.** 27 აპრ. ტრალერი „გელიენიკი“ ნაღმს დაეჯახა და ჩაიძირა. ორი კაცი მოკლულია.

**სტოკჰოლმი.** 27 აპრ. გერმანიის მთავრობამ აკრძალა გერმანიაში მყოფ რუსეთის მოქალაქე ტყვეებისათვის რუსეთიდან ამანათების უფასოთ შეტანა.

**ბუქარესტი.** 27 აპრ. სტამბოლიდან ცნობაა, რომ დარდანელის არმიის უფროსმა ლიმან ფონ-სანდერსმა მთავრობას აცნობა თავისი სერიოზული მდგომარეობა და დახმარება სთხოვა. ფონ-დერ-ჰოლცფაშამ სანდერსს მხარი დაუჭირა. ფრაკიის ჯარის ნაწილი დარდანელში გაგზავნეს. სანდერსმა მოითხოვა, უვარგისობის გამო დარდანელის ფორტების უფროსის ჯევად-ფაშის გადაყენება და მის მაგიერათ გერმანელ აფიცრის დანიშვნა. მთავრობა ჯერ ვერ ბედავს ჯევად ფაშის გადაყენებას, რადგან ახალგაზდა ოსმალონი მისი მომხრენი არიან. გებენი დარდანელში გავიდა. ბრესლაუ, გამიდიე, ხაირეჯი და ბარბაროსა რეიდში სდგანან. სტამბოლიდან ოფიციალური ცნობის მიხედვით ოსმალოთა დანაკლისი 80000 უდრის. დაჭრილთა მოყვანა სტამბოლში უკმაყოფილებას იწვევს.

**პეტროგრადი** 28 აპრილი. სამხედრო უწყების ცნობა. ჩვენმა მფრინავებმა იერიში მიიტანეს სად. მლავაზე. ძლიერი ქარის გამო მფრინავები იძულებული გახდენ ძირს დაშვებულიყვნენ. მტერმა მათ დაუშინა. მიუხედავათ დიდი ზიანისა ყველა მფრინავები შვიდობიანათ დაბრუნდენ. ვისლის მარცხენა ნაპირზე ჩვენმა არტილერიამ ჩააჩუმა გერმანელთა რამდენიმე ბატარეია. ჩვენმა ცეცხლმა გერმანელთა პროჟექტორი დაამსხვრია. ლოვიჩის აღმოსავლეთით ჩვენმა მზვერავებმა რამდენიმე ტყვე წამოიყვანეს.

**პარიზი.** 27 აპრილი. არასის ჩრდილოეთით ჩვენ შევინარჩუნეთ გუშინ დაკავებული ადგილები, მიუხედავათ

რამდენიმე კონტრიერიშისა. ჩვენ ამას გარდა გავაფართოეთ ჩვენი პოზიციები რამდენიმე ადგილას, სახელდობრ კარაში და რუმეს შუა. აქ ჩვენი მოქმედება სახეირო იყო და სამ საათზე ჩვენ უკვე 3000 გვყავდა ტყვეთ წამოყვანილი, მათ შორის 40 აფიცერი და ერთი პოლკოვნიკი. გუშინ და დღეს ჩვენ წამოვიღეთ 10 ზარბაზანი და 50 ტყვიისმტყორცნელი. ბერიომბაკთან ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიში, აგრეთვე ლეპრეტის ტყეშიდაც.

**ლონდონი.** 27 აპრილი. გემი „კვინ ვილჰელმა“ ჩასძირა გერმანიის წყალქვეშა ნავმა ბლიტის სიმაღლეზე, კომანდა გადარჩა.

**პარიზი.** ექსპედიციის კორპუსის სარდალი დამადი გამოცვალეს და მის ადგილზე საახალშენო კორპუსის სარდალი გურო დანიშნეს. გურო უკვე გავიდა მარსელიდან.

**ლონდონი.** 27 აპრილი. სოუტენდზე მიყენებული ზარალი უდრის 6000 გირვანქას.

**რომი.** 27 აპრილი. მეფესთან აუდიენციის შემდეგ ბიულოვს საგარეო სამინისტროში არ შეუხვევია, მან იქ თავისი მდივანი გაგზავნა. მეფესთან აუდიენციის შემდეგ ჯიოლიტი ინახულებს სალანდრას, ამას დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ჯიოლიტიმ არ მიიღო წინადადება, რომ სალანდრას კაბინეტს ოპოზიციაში ჩასდგომოდა. შესაძლებელია შეთანხმება. კიდეც რომ ვერ შეთანხმდენ, ჯიოლიტი სალანდრას მოწინააღმდეგეთ არ გაუხდება.

**პეტროგრადი.** 28 აპრილი. მიტავის სამხრეთ დასავლეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. გერმანელები შავლისაკენ უკან იწევენ. ნემანის მარცხენა ნაპირზე, მარიამპოლ-კალვარიის რაიონში, ცვლილება არ მომხდარა. სუვალკ ავგუსტოვოს აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს, თუმცა გერმანელები გააფთრებული ცეცხლით ცდილობენ ჩვენი ჯარის შეჩერებას. ოსოვეცის რაიონში მხოლოდ სროლაა. ვისლის მარჯვენა ნაპირზე რამდენჯერმე მოიტანეს იერიში ფოლვარკ პომიანზე, მაგრამ დიდის ზიანით უკუგდებულ იქნენ და თავის პოზიციებს დაუბრუნდნენ. ლოპატუვკის მახლობლათ გერმანელთა ქვეითა პოლკმა იერიში მოიტანა ჩვენს რაზმზე, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო, დაკარგა 150 მეტი მოკლული და 25 ტყვე. ჩვენმა არტილერიამ ზაზელეს ცეცხლი გაუჩინა. გერმანელთა ჯარს თავს შიშის ზარი დაეცა და გაიფანტა, მაგრამ ამ დროს შრაპნელებმა მათ დიდი ზიანი მიაყენა.

**ლონდონი.** 27 აპრილი. რამზგორდზე, ლონდონიდან 12 მილზე, დილას გამოჩნდა ცეპელინი. ცეპელინს რაღაც დაბრკოლება ეტყობოდა. ცეპელინი რომფორდიდან ისევ უკან გაბრუნდა. გრივსენდზე გამოჩნდა ჰაეროპლანი. ფორტებმა ცეცხლი დაუშინეს და ის ისევ უკან გაბრუნდა.

**ლონდონი.** 27 აპრილი. პალატაში ჩერჩელი განმარტებას იძლევა ლუზიტანიის დაღუპვის შესახებ. საადმირალომ ლუზიტანია გააფრთხილა და ურჩია, თუ რა გზა აერჩია. შეკითხვაზე:—რისთვის არ ახლდა ლუზიტანიას კონვოი,—ჩერჩილმა შენიშნა, მართალია ჩვენ ვნიშნავთ გემებისთვის კონვოის, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა გემზე ჯარი, ან სამხედრო სურსათი იმყოფება. ჩვენის აზრით ყოველი სავაჭრო გემი უნდა დაემორჩილოს საადმირალოს განკარგულებას და თითონ თავისთავზე იზრუნოს. ამ მოსაზრების უსაფუძლობა ჯერ არ უარყოფილა. ლუზიტანიის დაღუპვა სამწუხარო მოვლენაა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ინგლისის საზღვაო სავაჭრო მიმოსვლა ნორმალურათ სწარმოებს.

**ტოკიო.** 28 აპრილი. ხოროშიმოდან ტიანძინში ოთხი დღის წინათ გაგზავნილი ქვეითა პოლკი გზიდან უკან დააბრუნეს, ცინდაოში დარჩება ბრიგადა, დანარჩენ ჯარს წაიყვანენ. ოპოზიციის პარტიებს განზრახვა აქვთ კაბინეტის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

**ჰავრი.** 27 აპრილი. ბელგიის შტაბის ცნობა. 27 ს მტერმა იერიში მოიტანა მთელ ფრონტზე, ბელგიის არტილერიის ცეცხლმა მტრის რამდენიმე ბატარეა ჩააჩუმა.

**ლონდონი.** 28 აპრილი. ფრენჩის ცნობით, მტერმა ხუთი იერიში მიიტანა ინგლისის ზანაკზე იპრის აღმოსავლეთით, მაგრამ დიდის ზიანით უკუქცეულ იქნა.

**ვაშინგტონი.** 28 აპრილი. ბერნსდორფმა ინახულა ბრაიანი და მწუხარება გამოთქვა, რომ სამხედრო მოქმედებამ გამოიწვია ბევრი ამერიკელების დაღუპვა. ლუზიტანიის დაღუპვა არც კი უხსენებია.

**ლონდონი.** ზეპველითი სიტყვის ბიურომ გამოაქვეყნა გოლანდიის ჟურნალისტის მარტინ დიტმარის ცნობები, რომელიც მან გერმანიის დეზერტირებისაგან მიიღო. პრინც რუპრეხტის უფროსობის ქვეშ მყოფმა ბავარიის პოლკებმა ბრძანება მიიღეს, ინგლისელებს ტყვეთ ნუ წამოიყვანენ. ვინც ბრძანებას დაარღვევს, სასტიკათ დაისჯება. ბევრი ინგლისელი ჯარისკაცები ხელებშეკრული და თვალახვეული დახვრიტეს, ერთმა დეზერტირმა თითონ დახვრიტა ხუთი ინგლისელი ტყვე.

**სტოკჰოლმი** 28 აპრილი. გერმანიის საელჩომ გამოაქვეყნა განმარტება ლუზიტანიის დაღუპვის შესახებ. საელჩოს აზრით მთელი ბრალი ინგლისის მთავრობას ედება.

**პარიზი.** 28 აპრილი. სენდენზე გადაფრინდა გერმანიის ტაუბე. ერთმა ყუმბარამ ხუთი კაცი დასჭრა, მეორე სახლს მოხვდა, მაგრამ ზიანი არ მიუყენებია.

**პეტროგრადი.** 28 აპრილი. მთავარ სარდლის შტაბისაგან. რამდენიმე შეტაკების შემდეგ ჩვენი ჯარი მიუახლოვდა ქ. შავლის, რომელიც მტერს უკავია. გაცხარდა ბრძოლა. ამავე ფრონტზე მტრის რამდენიმე მზვერავები დავატყვევეთ. დანარჩენ ადგილებში გალიციამდი სიწყნარეა. ვისლასა და კარპატებს შუა მტრის იერიშები გრძელდება. 26 აპრ. საღამოს ბრძოლის ცენტრში—სტრიშევ-ბრჟოშოვის რაიონში—მდგომარეობა ჩვენთვის არა სასიკეთოთ შეიცვალა. მაგრამ ჩვენ ფიცხლავ კონტრ-იერიშები მივიტანეთ ჩვენი რეზერვებით ბესკო იასიმირჟის გზით მტრის მარჯვენა ფლანგის წინააღმდეგ. აქ მტერი ცდილობდა ჩვენი ფრონტის გარღვევას. ჩვენ შევძელით მტრის შეჩერება, ხელი შევუშალეთ მტრის წარმატებას და შევძელით სანიფათო რაიონიდან გამოსვლა და არჩეულ პოზიციებს დავუბრუნდით. სახელოვანმა 48 დივიზიამ, რომელმაც 24-ს თავი დააღწია ცუდი და მძიმე მდგომარეობიდან, 26 აპრილს იერიში მიიტანა მეორე ადგილზე. დემბიცის რაიონში მტერმა დიდი ზარალი ნახა ჩვენი ავტომობილების იერიშის დროს. კარპატების შუაგულში ჩვენ მოვიგერიეთ მტრის რამდენიმე იერიში. ბუკოვინაში, დნესტრის მარჯვენა ნაპირზე, ჩვენ 26-ს დილით ტყვეთ წამოვიყვანეთ 500 კაცი, სამი მძიმე და ერთი მსუბუქი ზარბაზანი და რამდენიმე ტყვიისმტყორცნელი. 27 აპრილს, შავი ზღვის ფლოტმა იერიში მიიტანა ბოსფორის ფორტებზე და შემდეგ სროლა ქონდა გემებთან. გემებს რამდენიმე ადგილს მოხვდა და ბრძოლას გაექცა.

**პეტროგრადი.** 29 აპრილი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ოლთისის გზით ჩვენი ჯარი მტერს ავიწროებს. ოსმალონი სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით უკან იწევენ, მათ გასწმინდეს თუთამაშე-იდის რაიონი. ალაშკერტის გზით ჩვენმა ჯარმა ოსმალონი განდევნა დუტახ-კიაბირას რაიონიდან. იქვე, ეფრატის მარცხენა ნაპირზე, ჩვენთვის სახეირო შეტაკება მოუხდა ჩვენ ცხენოსანთა რაზმს ქურდებთან. ტაპარიზის გზით ჩვენმა ჯარმა დაიკავა აბაღას ხეობა. დანარჩენ ადგილებზე ცვლილება არ მომხდარა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

**სომხები ოსმალეთში.**

ოსმალეთის სომხები სასტიკ დევნას განიცდიან: ყოველდღე ოსმალეთის მთავრობა იჭერს და აპატიმრებს მათ. ომში დამარცხებით გაბრაზებულნი თავის ჯინს სომხების შევიწროება-ტანჯვით იკლავენ. საქმის ვითომ-და კანონიერ სახის მისაცემად სომხის მოღვაწეებს „დაშნაკცუტუნი“-ს პარტიის წევრობას აბრალებენ და ყოველგვარად აწუხებენ.

**პაშიჩის მოგზაურობა.**

როგორც ნიშიდან იუწყებიან, ახლო მომავალში პაშიჩი გაემგზავრება პეტროგრადს ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვანი საქმის გამო.

**საბერძნეთი და ბულგარეთი.**

ათინიდან იტყობინებიან, რომ რადოსლავოვმა ხელმეორედ მიმართა გუნარისს საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვრებიდან ჯარის გაყვანის შესახებ.

**გერმანელები ვარშავასთან.**

„რანნეე უტრო“-ს სიტყვით კრაკოვში აუარებელი დაჭრილი მოიყვანეს. გერმანელები პროკლამაციებს ავრცელებენ სადაც დაბეჯითებით ნათქვამია, რომ ისინი ვარშავას უსათუოდ მაისში აიღებენ.

**ავსტრია და იტალია.**

რომიდან იუწყებიან: ავსტრიამ იტალიის საზღვრებზე სიმაგრეების გაშენება დაიწყო. იტალიასთან საფოსტო მიმოსვლა შეწყვეტილია. დალმაციის სამხრეთ ნაწილში ავსტრია უკვე ჯარს აგროვებს.

**შაქარი.**

რაფინადის სინდიკატის სექციამ შაქრის გაძვირების გამო დაადგინა ზედმეტათ 3 მილიონი ფუთი რაფინადი გამოუშვას ბაზარზე.

# რუსეთის ქრონიკა.

**შუამდგომლობა სამხედრო მინისტრის წინაშე.** მოსკოვის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სამხედრო მინისტრის წინაშე, რათა ჯარისთვის სხვადასხვა ნივთების და სურსათის დამზადება გადაეცეს სოფლის კოოპერატიულ დაწესებულებებს, ვინაიდან ამ დაწესებულებების საშუალებით ადვილად შესაძლებელია იაფ ფასებში კარგი საქონლის შეძენა და დამუშავება. ამის გამო ახლო მომავალში სრულიად რუსეთის კოოპერატიულ დაწესებულებათა კრება მოხდება ამ დაწესებულებათა კავშირის წესდების შესამუშავებლად.

**დახმარება ჩერნოგორიას.** სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირმა 24 აპრილს ჩერნოგორიაში სანიტარული რაზმი გაგზავნა. რაზმში დაბალ მოსამსახურეთა გარდა ერთი ექიმი და ექვსი მოწყალების დაც არის. ამ რაზმმა [illegible] სავადმყოფო [illegible] ასი საწოლით.

**მოსკოვის ციხე.** მოსკოვის საგუბერნიო ციხესთან გაიხსნა ფურნე, რომელიც ყოველ დღე აცხობს 2000 ფუთ პურს. ქალაქის თვითმართველობას სურვილი აქვს ციხის ადმინისტრაციას მოურიგდეს და ღარიბ მცხოვრებლებს ამ ფურნიდან დაურიგდეს პური.

**წყლის ადიდება.** მდინარე მოლოგამ დიდი ზარალი მიაყენა ნოვგოროდის გუბერნიის სოფლებს. საშინლად ადიდებულმა მდინარემ ქ. მოლოგა და ახლომახლო მდებარე სოფლები 35 ვერსის მანძილზე წყალით დაფარა; რამდენიმე სოფლის სახლები და ეკლესიები წყალქვეშ მოექცა. ზარალის გამოკვლევა ჯერ შეუძლებელია.

**მოსკოვის სახალხო ბანკი.** 24 აპრილს მოსკოვის სახალხო ბანკის აქციონერთა კრება მოხდა. კრებამ მიმდინარე წლის სმეტა განიხილა და დაადგინა: კოოპერატიულ ინსტიტუტის ფონდისთვის გადაიდოს 10,000 მანეთი, შანიავსკის უნივერსიტეტს-კი 5.000 მანეთი. ხარჯთაღრიცხვა უდრის 221.470 მან.

# ომი და სტამბოლი.

ომის დასაწყისში სტამბოლზე თითქმის არავინ ფიქრობდა, დარდანელი და ბოსფორი ყველას თითქმის მივიწყებული ჰქონდა.

მაგრამ რამდენიც დრო გავიდა და ომი გაძლიერდა, რამდენადაც ოსმალეთი ომში აქტიურათ ჩაერია, იმდენათ „სრუტეების საკითხი“ მეტის სიმწვავით წარმოსდგა სახელმწიფოთა წინაშე;

ახლა „სტამბოლისთვის ბრძოლა“ თითქმის მთელი დღევანდელი ბრძოლის მთავარ ღერძოთ გადაიქცა. ან კი რა საკვირველია?!

ოსმალთა ხონთქრებისა და სულთანების ძველი სატახტო ქალაქი, ერთ დროს ბიზანტიის სატახტო ქალაქად გახდა და ამის ნიშნათ მას სახელიც გამოეცვალა: მას ახლა კონსტანტინეპოლს უწოდებენ!

ძველი ბიზანტიის ნანგრევებზე ოსმალებმა კვლავ წამოყვეს თავი, კვლავ ხელთ იგდეს თავისი ძველი დედა ქალაქი და ევროპის კულტურულ ხალხებს დასარბევათ შეესიენ. ერთ დროს ოსმალნი ევროპის თითქმის მეოთხედს ფლობდენ.

მაგრამ აზიის უკულტურო ხალხმა ვერ შესძლო თავის ბატონობის განმტკიცება, მარტო ძველი ბარბაროსული სამხედრო

# ერატა.

(მოთხრობა)

**ძღვნათ შალვა დადიანს.**

—.. ჰო და რაკი სიცოცხლე ცოტა-ღა დარჩა, განაგრძო საუბარი ჩემმა მეგობარმა ლადომ,—მინდა გიამბო ყოველივე, რაც შენს შემდეგ მოხდა. რაც ეს უბედურება მეწია, იმ დღიდან გეძებ, მაგრამ ვერას გავხდი. ბოლოს გავიგე შენი მისამართი და ის იყო მოგწერე... ამდენ ხალხში ერთად-ერთი შენა მყევხარ, რომელსაც შემიძლია ჩემი დარდი გაგიზიარო“.

ჩემი მეგობარი იყო დაბრმავებული მხატვარი.

— როცა მე და შენ ერთმანეთს დავშორდით, ჩამოვედი აქ, გავმართე პატარა სახელოსნო და დავიწყე მუშაობა. პირველ ხანებში, წარმოდგენილი გაქვს, რა გაჭირვებას განვიცდიდი... უჩინარი მხატვარი, უსახსრო, არავითარი საშუალება, გარდა ჩემი ყალამისა და... ისიც პირველ ხანებში ძალიან საეჭვო... თითო-ოროლა ცნობის მოყვარე თუ შემოვიდოდა ჩემს ატელიეში და უნდობლად გადაავლებდა თვალს ჩემს სურათებს, მოწაფეობის დროს შექმნილს... უიმედოდ ხელს ჩაიქნევდა და წავიდოდა... არც ერთი გამამხნევებელი სიტყვა, არც ერთი მეგობრული ხელი!..

ყველგან დაცინვა, ირონია და უიმედობა...

და ამას არცა მალავდენ.

ყველაფერი ეს მე მაბრაზებდა, მაგრამ, წარმოიდგინე, სასოება არასოდეს არ წარმკვეთია. პირიქით! მინდოდა უფრო ხშირად ეცლოთ ამ ურწმუნოთ ჩემი სურათების სანახავათ, უფრო ცხადათ და ძლიერად გამოეთქვათ სიტყვით, ჩემს გასაგონათ მათი პესიმიზმი... ეს მე ძალას მმატებდა, ფანტაზიას მიცხოველებდა, ენერგიას მიძლიერებდა!.. მსურდა დამემტკიცებინა ამ დამცინავი, შურიან ბრბოსათვის, რომ მეც შემიძლია შევქმნა რამ დიადი, ძლიერი... შევქმნა ახალი ხანა ამ დარგში!

ჩემი სიყვარული ხელოვნებისადმი, მისი აღორძინების სურვილი, სურვილი სამშობლოს წინაშე ჩემი მოვალეობის ასრულებისა, ამაში ხელს მიწყობდნენ.

განუწყვეტლივ ვმუშაობდი. დღე ვხატავდი, ღამე ვკითხულობდი. როცა მოვიქანცებოდი,—დავდიოდი სხვადასხვა მუზეუმებში, სოფლებში, ნანგრევებში და იქ ვკრეფდი მასალას ჩემის შემოქმედებისას.

გაჭირვებაც დიდი გამოვიარე.

ხშირად სამი დღეც მშიერი ვყოფილვარ, მაგრამ მოთმინებით ვიტანდი, რადგან სულიერად მაძღარი ვიყავ

მაკმაყოფილებდა ჩემი მუშაობა და სურვილი.

თუ გახსოვს, შენთვის მიამბნია,—მოწაფეობის დროს მე შევხვდი ერთ ახალგაზდა ქალს, გავუარშიყდი და ხუმრობით ხელიც ვსთხოვე. ის იყო და ის. იმ ქალს იმის შემდეგ აღარსად შევხვედრივარ. მხოლოდ ჩემი ნათესავებიდან მესმოდა, რომ იმ ქალს მართლაც შევყვარებივარ, ჩემი ხუმრობა სერიოზულათ მიუღია და დღედღეზე ელოდა ჩემს დაბრუნებას და ჯვრის წერას. მე, რა თქმა უნდა, ყველას ვარწმუნებდი, რომ ვიხუმრე და ცოლის შერთვა და მით უმეტეს იმისი, რადგან არ მიყვარდა, ფიქრადაც არ მომსვლია.

მე იგი სრულიად გულიდან ამოვირეცხე და არც-კი ვფიქრობდი იმაზე.

გავიდა რამდენიმე წელიწადი.

ერთ საღამოს თეატრში წავედი. არ მახსოვს რა პიესას თამაშობდენ.

აიხადა ფარდა.

გამოვიდა ერთი ახალგაზდა მსახიობი ქალი. თამაშობს, მაგრამ ეტყობა გამოუცდელობა, მოუხეშაობა, მორცხვობა.

ხმა, მიმოხვრა, ტონი, სახე — სულ იმისია.

დავხედე პროგრამას—სხვა გვარი სწერია.

მთელი მოქმედება თითქოს ეკალზე ვიჯექი. ჩემს თავს რაღაც უხერხულად ვგრძნობდი... ვგრძნობდი რაღაც დიდ დანაშაულს, მომაკვდინებელ ცოდოს... თუმცა ჯერ დარწმუნებული არ ვიყავ.

ანტრაქტში ავედი კულისებში და ერთ ჩემ ნაცნობ მსახიობს ვკითხე იმ ქალის ვინაობა.

— ჰა, რაო, მოგივიდა თვალში? ირონიით მკითხა და თან რაღაც აღტყინებულის სახით თვალი ჩამიკრა;—ახალია, ახალი! სულ ერთი წელიწადიც არ არის, რაც სცენაზე შემოვიდა. მითხრა მან და გვერდში თითი წამკრა.

მეწყინა. ავენთე და უკმაყოფილოთ კითხვა გავუმეორე.

მრავალი უზნეო და პირუტყვული გრძნობის გამომხატველ ხუმრობის შემდეგ მითხრა მისი ვინაობა.

ის იყო!..

გამოვბრუნდი.

თეატრში აღარ შევსულვარ. ჩავიცვი პალტო, ქუდი დავიხურე და ქუჩაში გამოვედი.

ის დრო იყო, როდესაც პატიოსანი ხალხი, ქალნი და ვაჟნი სეირნობით დაღალულნი, განვლილ დღის სიამოვნებით მოყიჯებულნი სახლში წასულიყო და ეგრედ წოდებულნი „უპატიოსნო“ და „ზნედაცემული“ ქალები გამოსულიყვნენ ქუჩაში თავისი ტანით სავაჭროთ ლუკმა პურის საშოვნელად.

თავში თითქოს ჩაქუჩებსა მცემდნენ.

მოვდიოდი ბარბაცით. ერთ სკამზე ჩამოვჯექ და უაზროთ ცქერა დავუწყე ღამის პეპელათა ყოფა-ცხოვრებას.

ღრმად რომ ჩაუკვირდე მათ ყოფასა და ბედს, რამდენ სევდასა და ნაღველს ალაგიძრავს ადამიანს გულში. რამდენ დამცირებასა და შეურაცყოფას აყენებენ ამ უბედურთ ისინი, ვისი მეოხებითაც ეს უბედურნი ამ გზას დაადგნენ.

განურჩევლად ხნოვანებისა, გარეგნობისა და მდგომარეობისა ყველას მისდევენ და მიძახიან: „პაპაშა“—წამოდი! ძია—წავიდეთ! ახალგაზდავ—წამო ჩემთან!.. და ამ ძახილში არავითარი სირცხვილი, არავითარი მორიდება!

დარბის როგორც მშიერი ძაღლი და ხან ერთ მამაკაცს მივარდება, ხან მეორეს. ზოგი შეჩერდება და გაიმართება ვაჭრობა. ერთ ხანს ჩუმათ ლაპარაკობენ, მაგრამ ხედავ, მამაკაცმა ხელი ჩაიქნია და განშორდა... ქალი თავის უკანასკნელ ფასს ხმამაღლა მიაძახებს, მაგრამ მამაკაცი არც-კი მიხედავს,—მიდის...

გამოედევნება მეორეს, მაგრამ იგი ხმასაც არა სცემს,—ჩაუვლის. მესამე—უდიერად, ზიზღით ხელსა ჰკრავს და თანაც შეაგინებს. ეს უბედურიც ხმა ამოუღებლივ, ნაცემი ძაღლივით, მოშორდება და კედელს მოეფარება.

ლადო აღელდა; თვალები დახუჭა და სავარძელზე თავი გადაჰკიდა. დიდხანს სდუმდა.

მე შევშინდი. ავდექი, უნდა ვისმესთვის დამეძახნა, მაგრამ უარის ნიშნად ხელი გამიქნია.

— წყალი ხომ არ გინდა? დავეკითხე.

— არა! პაპიროსი! მითხრა მან.

მივაწოდე. მოუკიდა, ხარბათ მოსწია და განაგრძო.

— ხედავ ამ სურათს და იტანჯები... იტანჯები იმიტომ, რომ გჯერა, დარწმუნებული ხარ, რომ მათ უბედურებაში შენც ბრალი მიგიძღვის, რომ უმთავრესი მიზეზი მათი ამ ცხოვრებისა შენა ხარ! რომ დღეს არა, ხვალ, შენგან გასროლილი ერთი მოწყვეტილი ვარდიც მიემატება ამ გროვას დამჭკნარ დაავადებულ ყვავილებისას...

და რაკი ადამიანი ამასა გრძნობ,—არ შეიძლება ანგარიშიც არ გაუწიო.

ამ ფიქრებით გაბრუებული დიდხანს ვიჯექი, სანამ თეატრიდან გამოსულ ხალხის გუგუნმა არ გამომარკვია.

ყველანი სახლში მიეშურებოდნენ.

არ ვიცოდი რა მექნა?

ავყოლოდი ამ ხალხის დენას და მეც წავსულიყავ სახლში, თუ დამეცადა სანამ ის გამოივლიდა, განმეახლებინა ნაცნობობა, დაველაპარაკებოდი, გამომეკითხა მისი ყოფა-ცხოვრება.

ამ ფიქრში ვიყავ, როცა ელექტრონის სინათლეზე დავინახე ის, აჩქარებულის ნაბიჯით მომავალი და წინ გადავუდექ.

— ელენე, შენ ხარ? ნელის ხმით დავეკითხე.

ელენე შეჩერდა და უკან დაიწია.

— ნუ გეშინიან, ეს მე ვარ,—ლადო,—და ხელი გავუწოდე.

იგი შეკრთა, ტუჩები აუთრთოლდა და თვალებში მომაჩერდა.

— ქალო, ხელი მომეცი, ხომ არაფერს მემდური?

ხელი უხმოთ გამომიწოდა,—იგი ცივი იყო, ვიგრძენ მისი თრთოლვა.

— სახლამდი მიგაცილებ,—წავიდეთ!

— არა, ნუ შესწუხდებით! ძლივ გასაგონათ სთქვა მან.

— რა შეწუხებაა? სწორედ შენ გელოდებოდი!

ცოტა ყოყმანის შემდეგ მტკიცე ნაბიჯით სახლისაკენ გაეშურა.

მეც გავყევი.

სახლში მისვლამდი არც ერთს ხმა არ ამოგვიღია.

დარეკა.

სანამ კარს გაუღებდენ ვისარგებლე შემთხვევით და დავეკითხე:

— ხვალ შემიძლიან გნახო?

— რა საჭიროა? მიპასუხა მან.

— მაინც!

— კარგი, მობრძანდით!

კარი გაუღეს. მე გამოვბრუნდი.

II.

— დილით მუშაობას დაჩვეული ვიყავ, მაგრამ მეორე დღეს ველარ შევძელ... უძილოთ გატარებულ ღამის შემდეგ საღებავები ირეოდენ ჩემ თვალში. აზრი, გონება ერთ რომელიმე საგანზე ვერ შემეჩერებინა. სინდისი მქენჯნიდა.

ძალით ქვეყნების დიდიხნით დამორჩილება ან შეთვისება-შეერთება შეუძლებელი შეიქნა; დამორჩილებული მაღალ კულტურული ევროპა მთელი თავისი ძლიერებით აუმხედრდა მას და კიდეც აბრუნებია პირი აზიისაკენ.

ოსმალნი თანდათან უკუიქცენ, ევროპას თანდათანობით დაშორდენ და ბოლოს მისი მხოლოდ ერთი კუნჭული და თავისი ძველი სატახტო ქალაქი-სტამბოლი შერჩათ ხელში.

ევროპა კი კულტურის გზაზე წინ მიიწევდა: წარმოებას ავითარებდა და ეკონომიურათ ძლიერდებოდა; ხოლო ბარბაროსული მხედრული ძალით გაამაყებული ოსმალეთი ევროპას ისევ მაღლიდან, აღმოსავლეთური სიამაყის კვარცხლბეკიდან დაცქეროდა და ეკონომიური წარმატება ფიქრადაც არ მოსდიოდა, ის განვითარების ერთ წერტილზე შეჩერდა, მაშინ როდესაც ევროპა შეუჩერებლივ წავიდა წინ და ახლა მან ოსმალთა სამფლობელოებზე თავისი ძლიერების გავრცელება მოინდომა.

ამ მიზნით მან ოსმალეთის სახელმწიფო „განუკურნებელ ავათმყოფათ“, გამოაცხადა და მის „აპეკუნობას“ შეუდგა: მისი ავლადიდების დაპატრონებაც მოისურვა. მაგრამ მოგეხსენებათ ევროპა ერთი სახელმწიფო როდია. იგი ერთი მეორის მოწინაალმდეგე სახელმწიფოებათ არის დაყოფილი და ისიც „დიდ სახელმწიფოებათ“. არიან „პატარეებიც“, მაგრამ მათ დღემდე ყურს ვინ უგდებდა?!

და აი გაჩაღდა ბრძოლა „განუკურნებელ სენით შეპყრობილ“ ოსმალეთის დამორჩილებისათვის: ევროპის ყველა „დიდი“ სახელმწიფოს მისწრაფება შეიქნა, რომ ოსმალეთი მისი სამფლობელოებით თავის გავლენის ქვეშ დააყენოს; პეტრე დიდის ენერგიული ცდა-მეცადინეობით რუსეთიც ევროპის „დიდ სახელმწიფოთა“ რიგში ჩადგა და ოსმალეთთან დამოკიდებულებაზე იმავე აზრის შეიქმენ, როგორი აზრისაც მთელი ევროპა იყო.

მთელი ეს ბრძოლა ევროპისთვის იყო ბრძოლა „დიპლომატიური“ და არა აშკარა „მხედრული“. რუსეთი კი ამ მხრით სხვადასხვა ისტორიულ და გეოგრაფიულ გარემოებათა ძალით სამხედრო პოლიტიკას დაადგა, თუმცა ევროპის მსგავსათ ისიც ოსმალეთზე გავლენის მოსაპოებლათ „დიპლომატიურ“ ტაქტიკასაც ხმარობდა ხოლმე.

ასე იყო, თუ ისე, როგორც რუსეთის, ისე მთელი ევროპის მიზანი გახდა ოსმალეთზე გავლენის მოპოვება, დარდანელზე და ბოსფორზე გაბატონება და ბოლოს სტამბოლის ხელში ჩაგდებაც.

დარდანელზე და ბოსფორზე გაბატონება და სტამბოლის ხელში ჩაგდება. აი რა არის დღევანდელ მეომარ სახელმწიფოთა მთავარი მისწრაფება და დევიზი!

მაგრამ, როგორც ზემოთაცა ვსთქვი, ამ გავლენისა და ბატონობის მოსაპოებლათ დღემდე ორნაირი საშუალება და გზა იყო: „დიპლომატიური“ და „მხედრული“.

გერმანია ევროპის სხვა სახელმწიფოებთან და რუსეთთანაც ერთათ თავიდანვე ამ „დიპლომატიურ“ გზას ადგა და კიდეც მიაღწია იმას, რომ ოსმალეთის გული საბოლოვოთ მოიგო და ის იყო სტამბოლ-ბაღდადის რკინისგზის კონცესიის ხელში ჩაგდებას აპირებდა, რომ ამ დროს ომის სუნი დატრიალდა. ამ მხედრულ ტაქტიკას კი, როგორც ვიცით, ოსმალეთთან მხოლოთ რუსეთი აწარმოებდა.

თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში იომეს ურთიერთ შორის რუსეთმა და ოსმალეთმა. დაბოლოს ერთიმეორის „სამუდამო მტრებათ“ გადიქცენ.

„ჩვენი ისტორიული მისია სტამბოლის—„ცარგრადის“ ხელში ჩაგდებააო“ აღიარებს დღეს მთელი რუსეთი და კიდეც იბრძვის სამკვდრო სასიცოცხლოთ ამ „მისიისათვის“. ის ახალგაზდური გატაცებით შეუდგა ამ ბრძოლას—ომს და, როგორც სჩანს, ამ გზითვე გაიტაცა ევროპის ის სახელმწიფოებიც კი, რომლებიც დღემდე ოსმალეთთან დამოკიდებულებაში მხოლოდ „დიპლომატიურ“ ტაქტიკას აწარმოებდენ. ინგლისი და საფრანგეთი თავგამეტებით ეკვეთნენ დარდანელს და სტამბოლისაკენ მიიწევენ.

გერმანია კი, როგორც „დიპლომატიური გზით“ უკვე გაბატონებული ოსმალეთში, სტამბოლს პატრონობს და „მიმხდომთ“ ვაჟკაცურათ უმასპინძლდება. სწორეთ ამ გარემოებით: დიპლომატიურ ნიადაგზე გერმანიის გამარჯვებით და ინგლისის დამარცხებით უნდა ავხსნათ ის, რომ დღეს რუსეთთან ერთათ ინგლისმა და საფრანგეთმაც „ხმალი იშიშვლეს“ და ისე გაექანენ სტამბოლისაკენ.

სწორეთ ამ გარემოებამ გახადა მტკიცე და შეურყეველი და ერთი ტაქტიკის მატარებელი „სამთა კავშირი“. ახლა მან აშკარათ დაინახა, რომ „დიპლომატია“ ვერაფერს გააწყობს უკვე გაბატონებულ გერმანიასთან და თუ არა სამხედრო ძალით, ისე სტამბოლიდან გერმანიას ვეღარ გააძევებს.

ამნაირად გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლა გადიქცა ბრძოლათ სტამბოლის დაპყრობისათვის.

**სტამბოლის დაპყრობა**—ეს გერმანიის საბოლოვო დამარცხებაა და ორივე კი ერთათ მსოფლიო ბაზარზე გაბატონებას მოასწავებს.

სტამბოლისთვის ბრძოლა ეს მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაა, სტამბოლი ეს მსოფლიო მნიშვნელობის პუნქტია!

(დასასრული იქნება).

დ—ელი.

---

განა ისეთი რა მოხდა? ვეკითხებოდი ჩემს თავს. არაფერი! სრულიად არაფერი!

თურმე ქალის გრძნობასთან ხუმრობა ძნელი ყოფილა.

მასთან წაველი.

სახლში დამიხვდა.

თვალებ აწითლებული, სახე მკრთალი; თითქოს წუხანდელზე უფრო გამხდარი მეჩვენა.

ეტყობოდა, მასაც უძილოთ ღამე გაეტარებინა.

კოხტათ მორთულს, პატარა ოთახს ქალის მზრუნველი ხელი ემჩნეოდა.

დავსხედით. უხერხული სიჩუმე ისევ მე დავარღვიე.

— რა ნაირათ გამოცვლილხართ! თითქოს გახდარხართ კიდეც!

— არა!.. განა მეტყობა? დაიბნა, აირია.

— წუხელის უფრო კარგათ მეჩვენეთ...

— ალბათ სცენიდან თუ ვჩანდი ეგეთი...

შემთხვევით ვისარგებლე და ვკითხე:

— დიდიხანია რაც სცენაზე მუშაობთ?

— ერთი წელიწადია.

— რამდენადაც მახსოვს, თქვენა და თქვენი მშობლები დიდი წინააღმდეგი იყავით სცენისა.

— დიახ... მაგრამ მშობლები დამეხოცნენ და მე—კი...

— თქვენ—კი?

— მინდოდა გასართობი... დავიწყებას მიმეცა ჩემი თავი და...

— და?

— და სხვაც...

— ამაში მე ხომ არ მიმიძღვის რაიმე ბრალი?

ელენე აღელვებული ადგა.

— რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი... გავათავოთ!..

არა, ღვთის გულისათვის!.. მიპასუხეთ გულ ახდით:

მე ვარ ამის მიზეზი?

— დიახ! ძლივ გასაგონათ სთქვა და სავარძელში დაეშვა.

— განა ისევ გიყვარვართ? დავეკითხე და სახეზე შევხედე.

მან თავი უფრო ძირს დახარა და მის თვალებს ორი ცრემლი მოსწყდა.

ნეტა რათ ხარჯავენ მგოსნები და მწერლები ამდენ სიტყვებს სიყვარულის გამოსახატავათ—მეთქი ვიფიქრე მე. აი ნამდვილი გულწრფელი და ძლიერი სიყვარული!

ავდექი. ხელზე ვაკოცე და მტკიცე გადაწყვეტილებით შევძახე:

— მე გავასწორებ ჩემს შეცდომას! მოემზადე, ამ კვირია ჯვარს ვიწერთ!

ელენე ფეხებში ჩამივარდა, მუხლებზე ხელი მომხვია და ქვითინი მორთო.

ლადო დაჩუმდა.

მხედველობა რომ ჰქონიყო ჩემს სახეზე ამოიკითხავდა ჩემს გაკვირვებას, მაგრამ რაკი ეს არ შეეძლო, ვკითხე:

მერე შენი პრინციპი?

— სიყვარული?! ვიცი, ვგრძნობ გიკვირს ჩემი საქციელი, მაგრამ ჩემი პრინციპი შთანთქა სხვისადმი სიბრალულმა და ჩემივე შეცდომის გასწორების სურვილმა.

— მერე რომ უღალატე შენს თავს?

— ვუღალატე!.. მაგრამ ასე ღალატობს თავს ყველა... ასე ირთავენ ცოლებს და მე რათ უნდა ვყოფილიყავი გამონაკლისი? ქვეყნად არაფერი სისულელე ar არის ისე ადვილი, როგორც ცოლის შერთვა...

— გიყვარს?

არა! მეგონა მეც შემიყვარდებოდა მისი სიყვარული გამოიწვევდა ჩემში სიყვარულს, მაგრამ მოვტყუვდი..

ვლ. შალიკაშვილი.

(შემდეგი იქნება).

---

# აჭარის მთებში.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

შეგნებულ ქართველისთვის, რომლისთვისაც საქართველოს მიწა-წყალი უკვე პოლიტიკური ცნებაა, აჭარის ნახვა მთელი ხილვაა. ჩვენ ვიცით რა არის ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, ჩვენ მათი ისტორია, ეთნოგრაფია, თუ პირადათ არ გვინახავს ესენი წაგვიკითხავს და გაგვიგონია მაინც. მაგრამ აჭარა, როგორც ავანპოსტი საქართველოსი, მას აქეთ რაც იგი ისტორიულად ჩამოშორდა საქართველოს პოლიტიკურ სხეულს, ჩვენთვის ქართველებისთვის მუდამ „ცხრა მთას იქითა“ ქვეყანა იყო. ჩვენმა ხალხმა მიივიწყა იგი. შეწყვიტა სულიერი კავშირი მასთან და თუ შესაძლებელია საქართველოს ისე წარმოდგენა, როგორც ოჯახისა, აჭარა ის ქალი იყო ამ ოჯახისა, რომელიც უცხოელზე იყო გათხოვილი. ამისთანებს კი ხშირად ივიწყებენ თავისიანებიც კი.

დაწყებული ბათუმიდან ართვინამდე, მარჯვნივ ჭოროხის წყლისა, თქვენ ხედავთ ერთ კულტურას, ერთ ენას, ერთ ტიპს, მხოლოდ სარწმუნოება გამცნევთ, რომ ამ ქვეყანას რაღაც სასტიკი უბედურება გადახედია თავის ცხოვრებაში და მუსულმანური ჯამე და მინარეტებია, რომ არღვევენ მთლიან ილიუზიას იმისას, რომ თქვენ ღვიძლ საქართველოში იმყოფებით. მაგრამ სარწმუნოებამაც კი ვერ შესძლო სრული გადაგვარება მის ქართველურ სულისა. სოფელ ქედაში შემთხვევით გავეცანი ჯამეს მოსამსახურეს, ჩვენებურათ რომ ვსთქვათ, ეკლესიის მნათეს. ვსთხოვე მაჰმადიანურ ღვთის მსახურების წესრიგი აეხსნა ჩემთვის. ჩემი ნაცნობი ხალისიანი ადამიანი გამოდგა და დაუზარებლად მომიყვა ყველაფერს. დიდის ხალისით ვუსმენდი მეც ამ უბრალო და სადა ადამიანს მაჰმადიანურ ლოცვების მკვეთრ, აღმოსავლეთურ ტემპერამენტით შეზავებულ სიტყვებს. ამ ლოცვებში იყო სწორეთ ის, რაც ასე ახასიათებს მაჰმადის სარწმუნოებას და ყურანს—ბრძანებითი კილო. ჩემი ნაცნობი ყველა ამ ლოცვებს ქართულად მეუბნებოდა და მე დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი ქართულ ტექსტს კი არ მიკითხავდა ამ ლოცვებში, არამედ სახელდახელოთ ჩემთვის ნათარგმ არაბულს ლოცვებს, მაგრამ რა უზომო იყო ჩემი გაოცება, როცა ამ ლოცვებს თექსმეტ მარცლოვან ლექსით დაწერილი წასაკითხავი ძმობა და თან დასძინა ეს „ქალების ლოცვააო“.

დიდხანს ვუგდებდი ყურს ჩემ ლაღრიბ მნათეს. ეს რომ წინათ მომხდარიყო და ის რომ სხვაგან სადმე მენახა, სადაც ქრისტიანი ქართველობა სცხოვრობს, განა წარმოვიდგენდი, ეს ადამიანიც ქართველია, ქართვნლია თავის ლაპარაკში, ქართველია თავის ლოცვებში! ან არა და თვით ის აჭარელი ქალები, რომელთათვისაც ყოფილა დაწერილი ეს ლექსი—ლოცვა, განა ისე გვანან გარეგნულათ სხვა დანარჩენ ქართველ ქალებს, რომ არ შესცდე და არა სთქვა:—არა, ეს ჩემი სისხლი და ხორცი არ არისო. ნამდვილათ კი, რა ღრმა ტრაღედია ხდება იმ ჩადრ ქვეშ, რომელიც მათ ხურავთ.

მაჰმადიანიზმა მათ ჩადრი წამოასხა, მაგრამ რა ოსტატურათ დამალეს აჭარელმა ქალებმა ამ ჩადრ ქვეშ თავიანთ სახესთან ერთად სიყვარული საქართველოსი, თავისი ენისა, თავის ძველი აღთქმებისა. მათ თავის ჩადრ ქვეშ და თავის კალთით ატარეს ყველაფერი, რაც კი ქართველური იყო აჭარაში და დღევანდლამდე მოიტანეს, მაგრამ რამდენი ტანჯვა გამოიარეს ამ ხნის განმავლობაში! ვინც ერთხელ მაინც ნახა აჭარელი ქალი, ის არასოდეს არ დაივიწყებს მის სახეს, როგორც ემბლემას მწუხარებისა და სევდისას აჭარაში, სადაც ეხლა ყველაფერს შიშისა და მწუხრების ბეჭედი აზის, დედაკაცი გვირგვინია ამ მწუხარებისა და მე დარწმუნებული ვარ, პირველ ძმურ სალამს ჩვენგან მათკენ უნდა ჰქონდეს ადგილი.

და ჩვენმა ქალებმაც იფიქრონ თავიან უმფროს და მწუხარე დაზე.

შ—ამ—ბი.

---

# მწარე ამონაკვნესი.

(ჩემს დას ანას).

ობლობით დაჩაგრული, ბედისგან მწარედ დასჯილი, ცხოვრებაში გაუხარებელი და უწყალო სენისგან დატანჯული დღეს მისცემიხარ სამუდამოდ სანატრელ ძილს! ხვალიდან განისვენებ და, ცივ სამარეში, სადაც დაგიამდება ყოველივე ტკივილები.

მეორე ხანა შენი ცხოვრებისა, მთელი ოცი წელიწადი, შენთვის ტრაგედია იყო, რადგან ტანჯვა-წვალებაში განვლე შენი დღენი. ოჯახზე და შვილების კეთილად აღზრდაზე ზრუნავდი მუდამ, მაგრამ ბედმა ამაშიაც გიმუხთლა: ერთი წლის წინად ულმობელმა სიკვდილმა 14 წლის პირმშო ვაჟი, ქართული გიმნაზიის მეოთხე კლასის მოსწავლე, გამოგტაცა ხელიდან, რის შემდეგ შენ როგორც სულით, ისე ორგანიზმითაც დაეცი; არ სჭამდი, არ სვამდი, თავს არ უფრთხილდებოდი, არ გაიგონე ჩემი რჩევა-დარიგებანი და აისრულე შენი სურვილი: მოიძულე დანარჩენი შვილები და თან მიყევი შენს საყვარელ შალვას... **შენ გახდი შენი შვილის მსხვერპლი** და აწ მაინც დასტკბი იმის საფლავთან ერთად ბნელს სამარეში. მშვიდობით უკანასკნელად!..

ლადო ბზვანელი.

---

# ახალი ამბავი.

დღესასწაულების გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნუმერი გამოვა შაბათს, 2 მაისს.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა კამერ-იუნკერმა ბ. პოტულოვმა ქალაქის მოურავს აცნობა, რომ ინჟინრის ქუჩის გასაფართოებლათ მეგრელიშვილის ადგილს 15 კვ. საჟენი. უნდა ჩამოეჭრასო.

✦ მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტმა ცალკე წიგნაკათ გამოსცა „წესდებანი ყურძნის ღვინის დაყენებისა, შენახვისა გაყიდვის შესახებ.“ ეს წესდებები დაეგზავნება ქუთ. გუბერნიის სოფლებს, რომ სოფლის მეღვინეებმა ისარგებლონ ღვინის დაყენების დროს.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა სევ. ბახტაძეს ნება დართო გამოსცეს ქუთაისში საორშაბათო გაზეთი **„ახალი კვალი“**. გაზეთი მომავალ ორშაბათიდან გამოვა.

✦ ამ დღეებში საფარჩხიის მცხოვრებლები გახსნიან წიგნთ-საცავ-სამკითხველოს. გამგეთ იქნება მარიამ კაპანაძისა.

✦ ბ. გუბერნატორმა უკვე განიხილა ს. გორის საზოგადოების დამშეულ აზნაურთა რწმუნებულების თხოვნა. მცხოვრებლების ეკონომიური მდგომარეობის გამორკვევა მიანდო ქუთაისის მაზრის მომრიგებელ-მოსამართლეს, რომელიც შაბათს, 2 მაისს, სოფ. ზეინდარში გაემგზავრება.

✦ გუშინ, 29 აპრილს, ვაჭრებმა დათიკო ქებაძემ და ივანე კაპანაძემ მიიღეს 2 ვაგონი შაქარი.

✦ ქალაქის საბჭოს კრებამ 27 აპრილს ხორცზე შემდეგი ნიხრი დააწესა 1 ხარისხისაზე 18 კაპ. 2 ხარ. 17 კაპ. და 3 ხარ. 16 კაპ. საბჭომ აგრეთვე დროებით შეცვალა მეეტლეების ნიხრი. საათში ღამის პირველ საათამდი 80 კაპ. ნაშუაღამევს დილის 7 საათამდის—1 მ. ერთი გზა ღამის პირველ საათამდე—6 შაურ. ნაშუაღამევს დილის 7 საათამდი 40 კაპ. სადგურამდის ღამის პირველ საათამდი 40 კ. სადგურიდან კი ათი შაური, ნაშუაღამევს სადგურამდის 10 შ. ხოლო სადგურიდან 14 შ., არქიელის გორაზე ასვლისთვის, გაბრიელის ქუჩით 10 შ. და გაბაშვილის აღმართით 14 შ., სამეურნეო შკოლამდის 7 შ., სალორიის სასაფლაომდის 3 აბაზი, კახიანოურამდის 2 აბ., ქალაქის საავადმყოფომდის 9 შ., ქალაქის სასაკლაომდე (იქეთ და აქეთ) 1 მ. და 5 შ.

✦ შაბათს, 2 მაისს, საზოგადო საკრებულოს დარბაზში გაიმართება საოჯახო საღამო.

✦ ბაზრის ზედამხედველმა ი. გელოვანმა ოქმი შეუდგინა პურის მეტ ფასში გაყიდვისათვის ოვანეზ ოსიპოვს, მიკირტიჩ ოსიპოვს, კარაპეტ გაბრიელოვს, აბრამ ქსანდინიდის, ოვანეზ ჩოროდიანს და ანტონ ბათმანიშვილს.

✦ პედაგოგიური კურსები, რომელიც არსებობს პირველდაწყებითი უმაღლეს სასწავლებელთან დაასრულეს შემდეგმა პირებმა:

ბილიხოძე პროკოფიმ, იობიძე აბესალომ, კვატაშიძე სამუილმა, ლომიძე ბესარიონმა, ნიკოლაიშვილი ვლ., ფანცხავა პლატონმა, პატარიძე ივანემ, სირბილაძე ვლადიმერმა, სოსელია გ..., სოხაძე ალექსანდრემ, ... ცხაკაია ამბაკომ, უგლავა იროდიმ, ჩიგოგიძე ვლადიმერმა, ფამიჩოვმა ალ.

✦ 28 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ვაგონების გამნაწილებელ კომისიის კრება, რომელმაც ქუთაისის ვაჭრებს ვაგონები ასე გაუნაწილა: ფქვილის შემოსატანათ მ. მოშიაშვილს 7 ვაგ. ორ-ორი ვაგონი: რ. კაკიტელაშვილს, მ. კაკიტელაშვილს და ჭავჭანიძეს. თითო ვაგონი: მ. რუხაძეს, ფ. ჭელიძეს და ნ. ჯანელიძეს. სიმინდისათვის თითო ვაგონი: რ. კაკიტელაშვილს, მ. რუხაძეს, ნ. ჯანელიძეს, ბ. რეკვავას და აშჩიანცს. სამი ვაგონი კი ხათრიძეს. შაქრისათვის თითო ვაგონი: გოკიელის შვილებს, ეგ. ნარსიას და კუზანოვს. ნავთისათვის ორი ვაგონი ეგ. ნარსიას და ერთი ვაგონი ბარქაიას. თივისთვის ერთი ვაგონი მ. რუხაძეს. ქატოსათვის თითო ვაგონი: პ. ბოკერიას, ბ. რეკვავას და ხეცურიანს. თევზისათვის ერთი ვაგონი გ. ტყემელაშვილს. სხვადასხვა საბაკალეინო ნივთებისათვის თითო ვაგონი: ბარქაიას და ბექაიას. სულ ქუთაისის ვაჭრებზე გაანაწილეს 36 ვაგონი.

## თფილისი.

ამ დღეებში ბაქოდან თფილისში ჩამოვიდა თალიევის ქარხნის დირექტორი ინგლისელი ინჟინერი ვილიამსი, თფილისში საქსოვი ქარხნის დაარსების შესახებ დაინტერესებულ პირებთან მოსალაპარაკებლად. საკითხი პრინციპიალურად გადაწყდა. ახლო მომავალში შესდგება აქციონური ამხანაგობა, 3 მილიონი ძირითადი თანხით.

— 27 აპრილს საქველმოქმედო ქართულმა საზოგადოებამ თავის არაჩვეულებრივ სასწრაფო კრებაზე დაადგინა: 1) გაეგზავნოს ამავე საზოგადოების ქუთათურ განყოფილების თავჯდომარეს თავ. მ. ფალავას 3200 მან. აჭარლებისათვის ორი ვაგონი სიმინდის საყიდლათ. 2) გაიგზავნოს აჭარაში საჭირო წამლებით სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენათ ფერშალი გიორგი კაჭახიძე და მასთან ერთათ გაიგზავნოს ალ. მგელაძე და პ. საყვარელიძე, რომლებიც ამავე საზოგადოების ბათომის განყოფილებასთან ერთათ უხელმძღვანელებენ დამშეულთა დახმარების მიწოდება-მოწესრიგებას. 3) ეთხოვოს ბათუმის გუბერნატორს საჭირო ვაგონები და 4) ეთხოვოს წერა-კითხ. გამ. საზოგადოებას აჭარლებთათვის გაგზავნოს ქართული წიგნები.

— **აჭარლების დახმარება.** ბაქოს საზოგადოებამ აჭარლების დასახმარებლათ გაუგზავნა ბათუმის ქალაქის გამგეობას 2000 მანეთი და ადგილობრივ აჭარაში თავის ხარჯით გაგზავნა ბ. პეტ. ქავთარაძე.

— თფილისის საგუბერნიო ციხის ზედამხედველს 21 აპრილს გაუტეხეს საწერი მაგიდის უჯრა, სადაც ინახებოდა ციხის კასის გასაღები და კასიდან გაიტაცეს 8.274 მან. და 70 კაპ. იქვე ეკიდა შემოწირულებათა შესაკრებათ ორი ყულაბი და ორივე გატეხეს და რაც შიგ იყო წაიღეს. ამის გამო დააპატიმრეს ციხეში პატიმრათ ნამყოფი ალექსი ამირხანოვი, რომელსაც ზედვე აღმოაჩნდა 2,000 მან. დაიჭირეს აგრეთვე მისი დამხმარე პირები იოსება და პეტროსა ამირხანოვები.

— გუშინწინ წვრილი მეფურნეები თავისი უსტაბაშით გამოეცხადენ პოლიცმეისტერს და განუცხადეს: მიუხედავათ იმისა, რომ მეფქვილეებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ ფქვილი შემონახული, ფასები მაინც აუწიეს და ჩვენ იძულებული ვართ ვერ ვიყიდოთო. პოლიცმეისტერმა რჩევა მისცა მათ და აღუთქვა, ვისაც კი აღმოაჩნდება გადამალული ფქვილი, იძულებით ჩამოვართმევ და ნიხრზე გავყიდიო.

---

# ქართული ენა.

**საშუალო სასწავლებლებში.**

„კალმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჰმუნვასა ესე სჯობდეს“. **შოთა.**

ბევრი თქმულა და დაწერილა ქართული ენის შესახებ, მაგრამ როგორც ყოველთვის აქაც ბოლომდის ვერ მივსულვართ და ყოველივე ჩვენი საქმიანობა მხოლოდ წერითა და ლაპარაკით თავდება.

ვჩივით რომ მთავრობის საშუალო სასწავლებლებში ქართული ენის და ლიტერატურის სწავლება ჯეროვანათ და სასურველად არ არის დაყენებული. ამის მიზეზათ ჩვენ ვთვლით ხან მასწავლებლებს, ხან ოჯახს და ხან კიდევ მოსწავლეს. მე

რომ მკითხოთ ყველას უდევს ამაში ბრალი, მაგრამ თუ საქმეს კარგათ ჩაუკვირდებით, დავინახავთ, რომ უმთავრესი ბრალი ჩვენის ენის ასე აბუჩად აგდებისა ედება ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილს, რომელიც არ ზრუნავს, რომ ეს ენა დასახელებულ სკოლებში დაფასებულ საგნათ ჩაითვალოს და ჩვენ ენასაც ჰქონდეს მინიჭებული ის უფლება, რაც სხვა საგნებსა აქვთ.

ვინც ამ მიზეზის აშორებაზე არ ზრუნავს, ის პირდაპირ მოღალატეა სამშობლო ენისა; შეიძლება ოდესმე კიდეც იყო აღძრული ამაზე შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე და უარი მივიღეთ, მაგრამ რატომ ხელ-ახლად და რამოდენიმეჯერ არ უნდა „ვრეკოთ, რომ ოდესმე მაინც კარი გაგვიღოს“, თუ სრულად შეგნებული გვაქვს ამ საქმის სიდიადე?

არ ვიცი მომავალი რას გვიქადის, მაგრამ დღეს ქართული ენისთვის უნდა არსებობდეს ის წესი, რომელი წესიც არსებობს სხვა უმთავრესს საგნებისთვის; თუ სხვა საგნისთვის მნიშვნელობა აქვს ნიშნების სისტემას ყრმათა მიღებისა და კლასიდან კლასში გადასვლის დროს, რატომ ეს მოსპობილი უნდა იყოს ქართულ ენაში!? მეტყვით: სამშობლო ენაში არ უნდა იყოს ეს საჭირო, ისე უნდა უყვარდეს ბავშს თავისი ენაო. ეს მართალია, მაგრამ არა სრულიად, მისთვის რომ ამ შეგნებამდის ჩვენში ბავშები კი არა, უფრო დიდებიც ვერ მისულვართ. ვერ გვიხსნის ჩვენ ვერც გრძელი სიტყვები და ბევრი ქადაგება! ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი ენა თანამედროვე პირობების წესსა და რიგში მოვაქციოთ თორემ, მაღალ-მაღალი ფრაზები და მრავალი სიტყვობა, ჰმუნვა და გოდება ფონს ვერ გაგვიყვანს, ვინაიდან ჩვენ ვხედავთ საშინელ გადაგვარების სურათს: ოჯახი აჭრელდა, და ლამის მთლათ დამუნჯდეს და ქართულში სიტყვა ვერ ამოიღოს; ქართველი ბოვში ყოველ ენაზე თამამათ ლიკლიკობს, ქართულში კი ბლუკუნობს, იბმება და უცხო სიტყვები თუ არ მიიშველა, წაიქცევა და ცხვირ-პირს დაიმტვრევს. ჭეშმარიტათ, სამარცხვინო და სატირალია ჩვენი მდგომარეობა, რას ვხედავთ და რას მოველით; ჩვენი ოჯახი და მშობლები დიდ ცოდვას ჩადიან, რომლესაც თავის შვილებს გადაგვარების გზაზე აყენებენ. ერთ ქართველ ოჯახში მოვხვდი, ამ ოჯახის მამა ქართველი პედაგოგია. მისი ბავშვები უცხო ენაზე ლაპარაკობდენ. მე ვკითხე: რატომ ბავშვისთვის უცხო ენაზე დაგივალებია ლაპარაკი და ქართული აგიკრძალავს მეთქი. მიპასუხა: „ბავშვი ადვილად ითვისებს ყოველივე ენაზედ ლაპარაკსაო, ქართულ ლაპარაკს მაინც ქე მოესწრებაო“ და სხვ. გამაკვირვა და ამით ის მინდა ვსთქვა, რომ თუ პედაგოგი და ისიც ქართველი მშობელი ასეთ უკუღმართ გზას დაადგა, რას უნდა მოველოდეთ შეუგნებელ ოჯახისგან, მაგრამ უკაცრავად, მეტსაც მოგახსენებთ: ჩვენში სწორეთ ეგ „შეგნებული“ ოჯახები ბრძანდებიან ქართულის მტერნი. მტერნი ჩვენი შვილებისა და ახალი თაობისა.

თუ ძველმა ქართულმა ოჯახებმა მოგვცეს: წერეთლები, ჭავჭავაძეები, ორბელიანები, ერისთავები და სხვა მნათობები ჩვენი მწერლობისა, დღეს ჩვენი ოჯახების—გამძლარ და ნასწავლ ოჯახების—უმრავლესობა გადაგვარების გზაზე აყენებს თავის შვილებს.

დეცემ.

(შემდეგი იქნება)

# ისევ ქუთაისის ქალთა წრის შესახებ.

წინა წერილში მოვიხსენიე, რომ ქუთათურ ქალთა წრიდან ერთმა ჯგუფმა არაკანონიერის წესით ამოირჩია წრის გამგეთ თავისი თავი—მეთქი. ამით ვხსნიდი ქუთათურ ქალთა გულ-გრილობას წრისადმი. ეს იწყინა წრის გამგეობამ და მის მაგიერათ, რომ რაიმე არსებითი საბუთი წარმოეყენებია ჩემის აზრის დასარღვევათ, ლანძღვა-გინებითა, ფუქსავატის ფრაზეოლოგიით და უკბილო ოხუნჯობით გამოილაშქრა ჩემს წინააღმდეგ. ამით ცდილობდა აღძრულ საკითხის გვერდის აქცევას და უჭირველად ფონს გასვლას. ეს პასუხი ისეთი სუსტი და უსუსურია, რომ მის წინააღმდეგ პასუხის გაცემა საჭიროდ არ მიმაჩნია.

ვიცი, რომ სიმართლე მკვეთრი იარაღია: იგი ხან და ხან თუ გულს ასალბუნებს, უფრო ხშირად მწვავე გრძნობას გამოიწვევს ხოლმე. ყველანი გაჰიძახით, სიმართლე საწყენი არ არისო, მაგრამ ეს მხოლოდ ფრაზაა, სინამდვილის გული კი სულ ამის წინააღმდეგს ამბობს. მახინჯს რომ მახინჯი დაუძახო თუმცა ეს სიმართლე იქნება, მაგრამ ამისათვის იგი მადლობას არ გეტყვის. რაც უნდა ცუდი რამ ჩაიდინოს კაცმა, ათასს მიზეზს ნახულობს თავის გასამართლებლად. ასეთია კაცის ბუნება და, რასაკვირველია, ვერც ქუთათურ ქალთა წრის გამგეობა ასცდებოდა ამ საზოგადო კანონს. მაგრამ მინდა ცოტათი მაინც ეჭვი შევბაროს პატივ-ცემულ გამგეობას თავის სიმართლეზე და ამიტომ წარმოუდგენ შემდეგ ფაქტს:

საზოგადო კრებაზე გამგეობის წევრთა არჩევა მოხდა პატარა ბარათებით: ეს არ იყო წესიერი, რადგანაც, თუ ჩვენგან დაწყებულს საქმეს ჩვენვე აბუჩად არ ვიგდებთ, თუ რაიმე თვალსაჩინო საქმის გაკეთება ნამდვილად გვსურს, მაშინ ჩვენ გამგეობის წევრებს დიდის სიფრთხილით, აწონ-დაწონით და დაკვირვებით უნდა ვეძებდეთ. მაგრამ ამასაც თავი დავანებოთ. კანონიერება მოითხოვდა, რომ ეს ბარათები გამგეობის არჩევის შესახებ განხილულიყო მაშინვე, იმავე კრებაზე ამომრჩეველთა წინაშე. ნამდვილად კი მოხდა სულ სხვა... ზემო ხსენებულმა ჯგუფმა ეს ბარათები წაიღო კერძო სახლში და მეორე, თუ მესამე დღეს, ამომრჩევლების დაუსწრებლად, გამოაქვეყნა თავის თავი ამორჩეულად. განა ეს წესიერებაა! ეს რომ მამა—კაცთა საზოგადოებაში მომხდარიყო, ერთი აურზაური და შეხლა-შეხეთქება მოხდებოდა, მაგრამ აქ კი ამ თვალსაჩინო უკანონობამ ჩაიარა წყალი დალია. და რით უნდა აიხსნას ეს? მით, რომ ჩვენ, წრის წევრებს, ჩვენგან დაწყებული საქმე ან ისე უმნიშვნელოდ მიგვაჩნია, რომ ჩვენთვის სულ ერთია ვინ როგორც უნდა განაგოს იგი, ან და სიმხდალით ხმას ვერ ვიღებთ. როცა კენჭის საჯაროდ თვლის დროსაც კი ახერხებენ სხვა და სხვა სიყალბის ჩადენას, განა აქ, ამ უკანტროლო მოქმედების დროს უფრო შესაძლო არ იყო მომხდარიყო სიყალბე? ვიმეორებ, თუ ჩვენი საქმე თავის შესაქცევ სათამაშო რამედ არ მიგვაჩნია, გამგეობის წევრთა ამორჩევას ჩვენი უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც მათს საქმიანობასა, ცოდნასა და ენერგიაზე ჰკიდია ჩვენი საქმის წინ სვლა, ან დაქვეითება.

მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, ვსთქვათ რომ ქალთა წრისათვის ამა თუ იმ პიროვნების ვინაობას მნიშვნელობა არა აქვს, თუ კი იგი საქმეს რიგიანათ წაიყვანს, მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ საქმე კარგათ ვერ მიდის. აბა რა თვალსაჩინო საქმე გაკეთდა გამგეობისაგან ჩვენი წრის დაარსების დღიდან? ქუთაისის საზოგადოება სიუხვით ნაქებია. არც ერთი სტუმარი, თეატრის ხელოვანია იგი თუ სხვა რამის, ჩვენგან უპატივცემულოთ არ მიდის, არც ჩვენი წრისათვის დაუზოგავს ქუთათურებს თავის გულ-უხვი კალთა, ერთის სიტყვით, ქუთათურ საზოგადოებას ჩვენ ვერ დავემდურებით და, სამაგიეროთ, კანონიერება მოითხოვდა მომხმარებლისათვის მიზლივითი ანგარიში გაგვეწია. ჩვენ კი რით გავამართლეთ საზოგადოების მოლოდინი? მართალია, გავხსენით ერთი სახელოსნო სკოლა, სადაც ვასწავლიდით მარტო ხელსაქნარს, რისთვისაც თვითეულ ღარიბ მოსწავლეს ვახდევინებთ ოცს—ოცდა ხუთს მანეთს. მაგრამ რით განსხვავდება ეს ჩვენი ქველმოქმედობის ნიადაგზე ამოცენებული სკოლა კერძო პირების ქუთათურ სკოლებისაგან?

მაგალითისთვის ავიღოთ, თუნდა ქ. ე. ხოჯივანიშვილის ქალთა პროგიმნაზია. ამ სკოლაში უკანასკნელ წლებამდე სწავლის ფასად მოსწავლეებს ახდევინებდენ წელიწადში მხოლოდ 25 მანეთს. ხშირათ ხდებოდა, რომ ღარიბებს არამც თუ არ ახდევინებდენ სამოსწავლო ფულს, არამედ კიდეც ეწეოდენ სამოსწავლო ნივთებით, ტანისამოსით და ხშირად ფულითაც კი. სწავლა კი რთული, მრავალმხრიანი და უფლებით აღჭურვილია ამ სკოლაში. ჩვენი საქველმოქმედო სკოლა კი რას ჩადის? მარტო ხელსაქმეს ვასწავლით და უღარიბეს მოსწავლეს 20—25 მანეთს ვახდევინებთ. სადა სჩანს აქ ჩვენი ქველმოქმედობის სახე?

მუდამ ვწუწუნებთ, საშუალება არ გვაქვსო და ამავე დროს ძვირფასს სახლებში ვართ გამოჭიმული, ვიხდით ქირად აუარებელ ფულს, ვიღებთ ჩვენის შეძლების შეუფერებელ ჯამაგირებს და არც კი ვფიქრობთ, რომ საქმეს თანდათან ზრდა მოელის, ზრდას კი მეტი ხარჯი... საიდან უნდა მოვიპოვოთ ეს შეძლება, თუ კი არ მოვუყაირათებთ?

თუ ჩვენ მოწაფეებს ამოდენა სწავლის ფულს გადავახდევინებთ, მაშინ ნუთუ უმჯობესი არ იქნება მათთვის: მიადგნენ ზემო ხსენებულ პირთა სკოლების კარს, სადაც ხელსაქმესაც კარგათ შეისწავლიან და სათანადო განათლებასაც მიიღებენ!

ამ გარემოებას დიდი ჩაკვირვება და ანგარიშის გაწევა სჭირია. საჭიროა მოწვეულ იქმნეს საზოგადო კრება, შევიტანოთ, საქმეში მეტი სიცოცხლე, გავატაროთ ყოველივე ჩვენი მოქმედება კრიტიკის ქარცეცხლში, ამოვირჩიოთ თავმჯდომარე, რომელიც დღეს თურმე ფაქტიურად აღარც კი გვყავს, დავამყაროთ გამგეობის წევრთა შორის მეტი თანხმობა და სოლიდარობა: განვსაზღვროთ და გავითვალისწინოთ მომავალი მოქმედების გეგმა, გამოვიჩინოთ მეტი გონებრივი სიფხიზლე, ენერგია და საქმიანობა.

ჩვენი სამშობლო ქვეყნის ცის კიდე იმედიანობის ელფერით იმოსება, მამა-კაცთა ჯგუფები საქვეყნო საეროვნო საქმის მძიმე უღელში გულმგრად და ერთ-სულოვნობით ებმებიან, მათგან გადადგმული მძლავრი ნაბიჯი სამშობლოს საკეთილდღეოთ თვით ევროპისთვისაც საგრძნობი და თვალსაჩინო ხდება, ისინი თანდათან უახლოვდებიან მათს დიდებულ წინაპართა დიდებულ თვისებებს მამულის სიყვარულში; ჩვენც ნუ ჩამოვრჩებით მათ უკან, ამოუდგეთ მათ გვერდში ისე, როგორც ჩვენი ძველი მანდილოსნები უშვენებდენ მხარს თავიანთ დიდებულ მამულიშვილებს და შეერთებულის შრომით დავუმტკიცოთ კაცობრიობას, რომ ისტორიული უსამართლობით დაჩაგრულ ქართველ ქალს მხოლოდ დროებით ეძინა და ახლა კი დადგა დრო გამოფხიზლებისა, აღორძინებისა და მამულისათვის თავგანწირვისა.

ლიუბა თვალჭრელიძისა.

# დაბა-სოფელი.

**ძველი სენაკი.** ამ წლის 25 მარტს უკვე ერთი წელიწადი შესრულდა, რაც დაარსდა ადგილობრივი კოოპერატივი „შრომის კავშირი“, და ამ ცოტა ხნის განმავლობაში დიდი ვაი-ვაგლახი და უმადურობა გამოიარა. წევრების რიცხვი, როგორც იყო 72-მდი ავიდა. მაგრამ რა გამოვიდა, როდესაც ადგილობრივ ვაჭრების მეოხებით, ნახევარ მათგანს შიგ შესვლა და იქ რისამე ქრისტიანულად ყიდვა-ვაჭრობა ვერ გაუბედნია. დანარჩენ საზოგადოებას რა მოვსთხოვოთ: ის კიდევ უფრო ჩაჭერილია მოვაჭრეთა ბასრ ბრჭყალებში. ასეთი უკიდურესი მდგომარეობის მიუხედავათ, კოოპერატივმა დაუფასებელი სამსახური გაუწია საზოგადოებას, კანონიერი ნიხრის დაწესებით და მადა-გახსნილთა ასალაგმავათ. რას არ ეცადენ ეს უკანასკნელნი: იძულებულ-ჰყვეს ახალ-სენაკის პარტიობით მოვაჭრენი, რომ კოოპერატივისათვის საქონელი 10 პროცენტით ძვირად მიეყიდათ, ვიდრე მათ გამოაქვთ, მაგრამ ამით მაინც ფონს ვერ გავიდენ: კოოპერატივი არსებობს და იმედია, შემდეგშიაც იარსებებს. მხოლოდ საჭიროა საზოგადოების გამოფხიზლება და თავის სარგებლობის შეგნება, საჭიროა საზოგადოების უმრავლესობა თანდათან ჩამოშორდეს მყვლეფელთ და ხელი შეუწყონ ისეთ უანგაროსა და სიმპატიურ დაწესებულებას, როგორიც არის თავისი ღრმა მნიშვნელობით კოოპერატივი. შეგნებულ საზოგადოებას შეუძლია ადვილად მისცეს მას საშუალება აღორძინებისა, გაფართოვებისა. საქონელი უნდა იწერებოდეს პირდაპირ რუსეთიდან და არა ახალ-სენაკიდან, სადაც კერძო ვაჭარ-ჩარჩებს უფრო იაფად აძლევენ ყველაფერს, ვიდრე კოოპერატივს, ვინაიდან კოოპერატივი ჩარჩ-ვაჭართა მოსისხლე მტრად არის აღსარებული.

მიუხედავად აღნიშნულ დაბრკოლებათა, რაიცა მან წლის განმავლობაში განიცადა, 12 აპრილის ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრებამ და საქმის განხილვამ დაამტკიცა, რომ ჩვენს ოზოლ დაწესებულებას კი არ უზარალნია, მოგება დაჩენია ყოველ ხარჯს გარეშე 181 მანეთი. დიდი მადლობის ღირსია კოოპერატივის გამგე ბ. კ—ია, რომელმაც არ დაზოგა თვისი ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური ძალღონე და უნარიანად განაგო წლის განმავლობაში კოოპერატივის საქმე. იმედია, ახლად არჩეული პატივცემული გამგეობა და მასთან საზოგადოება ეცდება, მომავალში არ გაქრონ ეს სასარგებლო დაწესებულება.

აქაური დრუჟინის სანიტარები, ისე, როგორც ქუთაისის, დაითხოვეს, და დარჩა აუარებელი სოფლის მუშა ხალხი უხაროთ, უურმოდ, უგუთან-სახნისოდ, გაზაფხულის მუშაობის მოკლებულ-მოწყვეტილი, რომელსაც მომავალში მოელის უარესი სიმშილი, ვიდრე დღეს არის. მათ მაგიერ დავრჩა ათასგვარი სიბინძურის გორები, რომელსაც არავინ არ აქცევს ყურადღებას. იმდენი ბუზი და სხვადასხვა მწერი ირევა ჰაერში, რომ მათის შიშით პირი ვერ გაგვიღია და სული ვერ მოგვითქვამს; ან კი როგორ მოვითქვათ სული, როდესაც მთელი დაბა საოცრად არის ამყრალებულ-აქოთებული. სამაგიეროდ ერთს უცხო ექიმს, რომელიც სანიტარებს თან ახლავს, აღმოუჩენია, რომ ასეთი სუნი სპობს სხვადასხვა სენს, განსაკუთრებით ჭლექს, და, რადგან ასეა, მისგან მოყენებული უსიამოვნება სულგრძელად უნდა ავიტანოთ.

— სიმინდი აქაც შვიდ აბაზად ფასობს ფუთი, რადგან გარდა მეწისქვილეთა არავის მოეპოვება გასასყიდი. ხოლო ეს უკანასკნელი დაფქვისათვის კიდევ იღებენ მინდს ლაზათიანის საფინდოთი, ასე რომ მყიდველს ფუთი ფქვილი უჯდება რვა აბაზად.

— აქაურ სამინისტრო სასწავლებელში გამოცდები 14 ს აპრილს დასრულდა, ხოლო საახზანურო სასწავლებელში 20 ს აპრილს დაიწყო.

როგორც მოწერილობიდან სჩანს, წელს ახალ სენაკში იმართება პედაგოგიური კურსები—ალბად მუნჯური მეთოდის ერთხელ კიდევ საცდელად და მის „უპირატესობაში“ მასწავლებელთა დასაჯერებლად. როგორც ვიცით, მუნჯურ მეთოდს ახალ სენაკში თავისი „ეკლესიასტური ქურუმი“ ჰყავს, რომელიც კურსების გამგე თუ არა, კურსების გამგისა და ხელმძღვანელის გულ[illegible] საკმელ-გუნდრუკს [illegible] მაინც იქნება.

ვნახოთ, რა გამოვა რისგან.

გუშაგი

# წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს.

გაზ. „სამშობლოში“ (№ 51) მოთავსებულ ჩემ მიმართ შეკითხვის გამო ბ. ა. ჩინჩალაძის გასაგონად უნდა ვთქვა, რომ ხშირად, რის თქმა შესაძლოა კერძო ბაასში განსაზღვრულ პირებთან, სახიფათოა პრესაში მისი გადატანა და გავრცელება, მით უმეტეს, როცა ამგვარი ქცევით შესაძლო ხდება კერძო პირთათვის ვნების მიყენება.

რამდენიმე პირთან მე აღვნიშნე ფაქტი და ამას ბ. ა. ჩინჩალაძესაც მოვახსენებდი პირადათ, რომ ჩემი დაპატიმრების შემდეგ ქუთაისში ყოფნის დროს, ერთხელ მაინც გადავეყროდი მას.

კონკრეტიული ბრალდება ჩემი გაჩხრეკა-დაპატიმრების საქმეში პირადათ არავისათვის წამიყენებია.

როგორც ზევით ვთქვი, აღვნიშნე მხოლოდ ფაქტი, რომელიც თავისთავად ბრალდებას არ შეიცავს, და თუ მაინც ამ ფაქტიდან ბ. ა. ჩინჩალაძის შესახებ რაიმე საეჭვო დასკვნა გამოდის, ან გამოჰყავს ვისმე, ეს ჩემი ბრალი არ არის.

რაც მითქვამს შემდეგშიაც მას უნაკლოდ განვიმეორებ, როცა გარემოება ამის ხელის შემწყობი იქნება.

სად და როგორ პირობებში ვიმყოფები დღეს მე, ეს ბატ. ა. ჩინჩალაძესაც მოეხსენება.

შუქრუთის შკოლის ყოფილი მასწავლებელი

ბ. გელაზანია.

ასტრახანი.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ — თ.

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Цѣлебные минеральные источники“ въ Кутаисск. губ.—ფ. 20 კ.

**აქვე იყიდება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. 2 ტ.—3 მ.

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

გ ა მ ო ვ ი დ ა დ ა ი ყ ი დ ე ბ ა

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფ ა ს ი 60 კ ა პ. წ.